სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი ბაზრის კვლევის შესახებ

მოგესალმებით,

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი გეგმავს **ქალაქ ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში არსებული ორანჟერეის, ჯვარედინა სასახლის, ძველი წყლის სისტემისა და გადასასვლელი ხიდის სარეაბილიტაციო-საკონსერვაციოდ დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების** შესყიდვას.

შესყიდვის პროცედურების ჩატარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია განისაზღვროს:

1. **შესყიდვის ობიექტის - დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სავარაუდო ღირებულება (დამატებული ღირებულების გადასახადის - დღგ-ს გარეშე)**;
2. **ეტაპების მიხედვით, მომსახურების გაწევის ვადები და საბოლოო ვადა**;
3. ტექნიკურ დავალებასთან მიმართებაში შესაძლო შენიშვნები, შესწორებები, ან რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება მოხდება შესყიდვის პროცედურების დაგეგმვის დროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თანდართული ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული გასატარებელი ღონისძიებების საფუძველზე გთხოვთ, <u>არაუგვიანეს 2019 წლის 21 აგვისტოს 18:00 საათისა</u>, წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150) მატერიალური სახით (ნაბეჭდი ვერსია), ან ელ. ვერსიის სახით, შემდეგ ელ. ფოსტებზე: procurement@mdf.org.ge; mbochorishvili@mdf.org.ge

დანართი:
ტექნიკური დავალება - 12 (თორმეტი) ფურცლად;

<u>წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.</u>